ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი რომის პაპს, ლეონ XIV-ს შეხვდა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 26.07.2025. 26 ივლისს ვატიკანში, მოციქულთა სასახლეში, გაიმართა შეხვედრა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარეს, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ანტონისა და პაპ ლეონ XIV-ს შორის.

შეხვედრის დროს მიტროპოლიტმა ანტონიმ პაპს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილეს სახელით მისალმება და მილოცვა გადასცა რომის კათოლიკური ეკლესიის წინამძღვრად არჩევასთან დაკავშირებით.

პაპმა ლეონ XIV-მ მადლობა გადაუხადა უწმინდეს პატრიარქ კირილეს კეთილი სურვილებისთვის და

აღნიშნა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობების განვითარების მნიშვნელობა.

საუბრის პროცესში მრავალი საკითხი იქნა განხილული, რომლებიც უკავშირდება მართლმადიდებლურ-კათოლიკურ დიალოგს, ასევე მსოფლიოში, მათ შორის უკრაინასა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტებს.

კერძოდ, მიტროპოლიტმა ანტონიმ პაპ ლეონ XIV-ს უამბო უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დევნის შესახებ.

შეხვედრის დასასრულს თანამოსაუბრეებმა სამახსოვრო საჩუქრები გაცვალეს.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93436/